

## ფაქტობრივი ცნობა

### გამწვანებული ტერიტორიების ოდენობა ერთ სულ მოსახლეზე ევროსაბჭოს ქვეყნებში

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის რეკონებდაციით (World Health Organization (WHO)), ერთ სულ მოსახლეზე გამწვანებული ტერიტორიის რაოდენობა სასურველია მინიმუმ **9მ<sup>2</sup>** იყოს და ისინი ფეხით 15 წუთის სავალზე მდებარეობდნენ. თუმცა ამ პირობების სრულად დაკმაყოფილება ბევრ ქვეყანას უჭირს. ამის მიზეზი ურბანული ექსპანსიაა. ბოლო ათწლეულებში მოსახლეობის ქალაქებში მიგრაციამ დიდი მასშტაბები შეიძინა, რის შედეგადაც ევროპის ქვეყნებში ქალაქის მოსახლეობის რაოდენობა საერთო რაოდენობის თითქმის 4/5-ს შეადგენს.

ურბანულ დასახლებებში ღია სივრცეებსა და გამწვანებულ ტერიტორიებს მრავალი ფიზიკური, ეკოლოგიური და სოციალური ფუნქცია გააჩნიათ: ქმნის ჯანსაღ გარემოს, ფიზიკურ კომფორტს უქმნის მოსახლეობას, ზრდის გარემოს ესთეტიურ ღირებულებას, იძლევა დასვენების საშუალებას, ამცირებს ხმაურსა და ჰაერის დაბინძურებას, ქმნის საარსებო გარემოს მცენარეებისა და ცხოველებისთვის და ა.შ.

ურბანულ დასახლებებში გამწვანებული ტერიტორიები, ძირითადად, ადგილობრივი თვითმმართველობების (მუნიციპალიტეტების) კომპეტენციაშია (მაგალითად, **დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთში, ესპანეთში, ლიტვაში, დანიაში, გერმანიაში, უნგრეთში, ნიდერლანდებში, ჩეხეთი და სხვ.**) და, ჩვეულებრივ, მასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება მუნიციპალური ორგანოს დადგენილებით, რომელიც ქვეყნის შესაბამისი კანონმდებლობიდან გამომდინარე მიიღება. თუმცა, რიგ ქვეყნებში (მაგალითად, **ბულგარეთი, თურქეთი, იტალია**), აღნიშნული საკითხი ქვეყნის კანონებითა და მთავრობის დადგენილებით რეგულირდება.

**ბულგარეთში** გამწვანებული ტერიტორიების მოწყობის საკითხებს არეგულირებს *კანონი სივრცის მოწყობის შესახებ და დადგენილება ცალკეული ტერიტორიებისა და სტრუქტურული არელების მოწყობის წესებისა და რეგულაციების შესახებ* (Regulation № 7 of 22 December 2003 on the rules and regulations for the structure of individual territory types and structural areas).

აღნიშნული დადგენილების VII თავის შესაბამისად, გამწვანებული ტერიტორიის სავალდებულო ფართობი განსაზღვრულია დასახლებული პუნქტების სახეების მიხედვით:

1. დიდი ქალაქებისთვის - **20მ<sup>2</sup>** ერთ მოქალაქეზე;
2. საშუალო სიდიდის ქალაქებისთვის - **18მ<sup>2</sup>** ერთ მოქალაქეზე;
3. მცირე ზომის ქალაქებისთვის - **12მ<sup>2</sup>** ერთ მოქალაქეზე;
4. ძალიან მცირე ზომის ქალაქებისთვის - **8მ<sup>2</sup>** ერთ მოქალაქეზე;
5. ყველა სოფლის ტიპის დასახლებებისთვის - **4მ<sup>2</sup>** ერთ მოქალაქეზე;

დიდი ქალაქებისთვის (იგულისხმება ქალაქები 200 ათას მეტი მოსახლით) გამწვანებისთვის საჭირო არეალი სავალდებულოა განისაზღვროს **ზოგადი განვითარების გეგმით**, რომელსაც მუნიციპალიტეტი შეიმუშავებს. მაგალითად, **სოფიას** მუნიციპალიტეტში ასეთი გეგმა 2003 წლიდან მოქმედებს (2009 წელს შესული შესწორებებით).

**სოფიაში** (1 241 396 მოსახლე) ერთ სულ მოსახლეზე გამწვანებული ფართობი **26,3მ<sup>2</sup>**-ია; **პლოვდივში** (331 796 მოსახლე) - **17,2მ<sup>2</sup>**; **ვარნაში** (330 486 მოსახლე) - **12,53მ<sup>2</sup>**.

**დიდ ბრიტანეთში** ურბანულ დაგეგმარებას არეგულირებს *ქალაქებისა და სხვა დასახლებული პუნქტების დაგეგმარების შესახებ კანონი* (Town and Country Planning Act). გარდა ამისა, არსებობს უამრავი შესაბამისი სამთავრობო დადგენილება, რომელიც ხელს უწყობს ადგილობრივ თვითმმართველობებს ამ კანონის განხორციელებისას. **დიდი ბრიტანეთის** მუნიციპალიტეტები, როგორც წესი, ადგენენ *ღია სივრცის დაგეგმარების შესახებ სტრატეგიას* (Open Space Strategy). აღნიშნული სტრატეგიის შემუშავებისას, ისინი ითვალისწინებენ დიდი ბრიტანეთის ბუნების კონსერვაციის საზედამხებდველო სამსახურის რეკომენდაციებს, რომლის შესაბამისად, თითოეულ ადამიანს უნდა ჰქონდეს მწვანე ზოლთან წვდომის შესაძლებლობა ყოველ 300 მეტრში და ასევე, ყოველ 1000 მოსახლეზე გათვალისწინებული ფართობის მოცულობა უნდა შეადგენდეს 1 ჰექტარს (10 000მ<sup>2</sup>), ანუ **10მ<sup>2</sup>** ერთ სულ მოსახლეზე.

ზოგადად, **დიდ ბრიტანეთში** ერთ სულ მოსახლეზე გამწვანებული ფართობი შეადგენს 36,2მ<sup>2</sup>. **ლონდონში**, რომლის მოსახლეობაც დაახლოებით 7,5 მილიონია, 3000-მდე პარკი და ღია სივრცეა. ლონდონის ტერიტორიის 2/3 (დაახლ. 1600კმ/კვ.) გამწვანებულ ფართობსა და წყლის ზედაპირს უკავია. აქედან გამომდინარე, გამწვანებული ტერიტორიისა და ღია სივრცის რაოდენობა ერთ სულ მოსახლეზე შეადგენს **142,2მ<sup>2</sup>**-ს. **ედინბურგში** (დაახლ. 472 000 რეზიდენტი) - **41,5მ<sup>2</sup>**; **კარდიფში** (დაახლ. 321 000 რეზიდენტი) - **47,9მ<sup>2</sup>**.

**ლიტვაში** ურბანულ დასახლებებში მწვანე ზონების დაცვა ხორციელდება: *კანონით გამწვანების შესახებ* (Law on Greenery); *გარემოს დაცვის მინისტრის ბრძანებულებით მწვანე ზონებისთვის სტანდარტებისა და ნორმების შესახებ* (Order on Standards and Norms for Green Areas, approved by the of Minister of Environment); *ტყეების შესახებ კანონით* (Law on Forests) და *გარემოს დაცვის შესახებ კანონით* (Law on Environmental Protection).

როგორც წესი, მწვანე ზონების დაცვაზე პასუხისმგებელია ადგილობრივი მუნიციპალიტეტი, რომელიც მუნიციპალური საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე, მოქმედებენ **ქალაქის გენერალური გეგმის** შესაბამისად. სწორედ ამ გეგმით ხდება გამწვანებული ტერიტორიის სავალდებულო ოდენობის განსაზღვრა ერთ სულ მოსახლეზე, რომელიც, მაგალითად, **ვილნიუსისთვის** შეადგენს **6მ<sup>2</sup>**/ერთ მოსახლეზე.

ფაქტობრივად, **ვილნიუსში** ერთ სულ მოსახლეზე გამწვანებული ფართობი შეადგენს **15,8მ<sup>2</sup>**-ს (თუ გავითვალისწინებთ ადმინისტრაციულ საზღვრებში სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ ტყის ფართობებს - 213მ<sup>2</sup>-ს); **კაუნასში** - **24მ<sup>2</sup>**-ს; **კლაიპედაში** - **10,9მ<sup>2</sup>**-ს.

იტალიაში, 1968 წლის 2 აპრილის უწყებათაშორისი დადგენილებით (The interministerial decree adopted on the 2th of April 1968, no. 1444), განისაზღვრა საერთო წესი, რომლის თანახმადაც, ყველა დასახლებული პუნქტს უნდა ჰქონდეს გამოყოფილი ტერიტორია პარკებისთვის, საბავშვო მოედნებისთვისა და სპორტული აქტივობებისთვის არანაკლებ 9მ<sup>2</sup>/ერთ სულზე.

გარდა ამისა, 1992 წლის კანონი (law no. 113/1992, paragraph 1) ითვალისწინებს, რომ ყველა მუნიციპალიტეტმა უნდა დარგოს ერთი ხე თითოეულ ახალდაბადებულ ბავშვზე, დაბადებიდან 12 თვის განმავლობაში.

იტალიის სტატისტიკის სამსახურის მონაცემებით, რომში ერთ სულ მოსახლეზე გამწვანებული ტერიტორიის ფართობი შეადგენს - 131,4მ<sup>2</sup>-ს (აღსანიშნავია, რომ იტალიის სტატისტიკის სამსახური ამ მონაცემების გაანგარიშებისას, პარკების, ბოტანიკური ბაღების, ზოოპარკებისა და ა.შ. გარდა, ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ფარგლებში ისტორიული და კულტურული ობიექტების ფართობებსაც); მილანში - 16,4მ<sup>2</sup>-ს; ტურინში - 20,6მ<sup>2</sup>-ს; პალერმოში - 77,1მ<sup>2</sup>-ს; ბოლონიაში - 37,0მ<sup>2</sup>-ს; ფლორენციაში - 20,9მ<sup>2</sup>-ს; ვენეციაში - 38,2მ<sup>2</sup>-ს; ვერონაში - 64მ<sup>2</sup>-ს.

თურქეთში ურბანული დაგეგმარებასთან დაკავშირებით მთავარი საკანონმდებლო აქტია მშენებლობის შესახებ კანონი (Construction Law) და მისი ნორმატიული დოკუმენტები (regulation). მშენებლობის შესახებ კანონი მოქმედებს 1956 წლიდან. 1972 წელს შესული ცვლილებით, მას დაემატა მუხლი, რომლის გათვალისწინებითაც ერთ სულ მოსახლეზე გამწვანებული ფართობის ოდენობა უნდა ყოფილიყო 7მ<sup>2</sup>. თუმცა, მკაფიოდ არ იყო განსაზღვრული „გამწვანებული ფართობის“ ცნება, ანუ მოიცავდა ის მხოლოდ პარკებსა და ბაღებს, თუ მასში შევიდოდა ტყის ფართობები და აგრარული ზონებიც. ეს სტანდარტი (7მ<sup>2</sup>) შენარჩუნდა 1985 წლის ცვლილებითაც და ამ ცვლილებით განისაზღვრა, აგრეთვე, გამწვანებული ზონის ცნებაც - მასში მოიაზრება პარკები, საბავშვო მოედნები და მოედნები სპორტული აქტივობებისთვის, შესაბამისი აღჭურვილობებით. 1999 წელს გამწვანებული ფართობის სავალდებულო ოდენობა გაიზარდა 10მ<sup>2</sup>-მდე. ამის მიზეზი გახდა მარმარილოს ზღვის რეგიონში მომხდარი მიწისძვრა, რომლის შემდეგაც ვერ მოიძებნა შესაბამისი თავისუფალი ზონა, სადაც შესაძლებელი იქნებოდა განთავსებულიყო კარვები დაზარალებულთათვის.

უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად კანონით განსაზღვრული ვალდებულებისა, ერთ სულ მოსახლეზე გამწვანებული ტერიტორიის ფართობი თურქეთის უმეტეს ქალაქებში 2-3მ<sup>2</sup>-ია, რაც განპირობებულია მწირი ფინანსებით - მუნიციპალიტეტები ისინი ვერ ახერხებენ შეიძინონ გამწვანების ზონების შექმნისათვის საჭირო მიწის ფართობები.

ლუქსემბურგში ურბანული მწვანე ზონების დაცვა ხორციელდება 2004 წლის 19 იანვრის კანონით ბუნებისა და ბუნებრივი რესურსების დაცვის შესახებ (Law Of 19<sup>th</sup> January 2004 On Protection Of Nature And Natural Resources).

აღნიშნული კანონის თანახმად, აკრძალულია ნებისმიერი სახის შენობის ან სხვა სახის ნაგებობის აშენება გამწვანების ზონაში ან ამ ზონასთან 30 მეტრზე ახლოს მინისტრის ნებართვის გარეშე.

ევროსაბჭოს ქვეყნებში ურბანულ დასახლებებში ერთ სულ მოსახლეზე არსებული რეალური გამწვანებული ტერიტორია ქალაქების მიხედვით, იხილეთ ცხრილი:

ქვეყანა	ქალაქი	გამწვანებული ტერიტორია/ერთ სულ მოსახლეზე (მ <sup>2</sup> )
ბულგარეთი	სოფია	26,3
	პლოვდივი	17,2
	ვარნა	12,53
დიდი ბრიტანეთი	ლონდონი	142,2
	ედინბურგი	41,5
	კარდიფი	47,9
ესპანეთი	ბარსელონა	6,6
	მადრიდი	17
	მალაგა	5,7
	სევილია	6,2
	ვალენსია	5,4
	ალიკანტე	10,2
	ლას პალმასი	1,6
ესტონეთი („გამწვანება“ აქ სხვადასხვანაირად განისაზღვრება და შესაბამისად მისი დათვლის მეთოდი განსხვავებულია ქალაქების მიხედვით)	ტალინი	100
	პიარნუ	23
	ტარტუ	110
	ვილიანდი	216
	ნარვა	4,6
ჩეხეთი	პრაღა	22,4
	ბრნო	20
	ოსტრავა	34
ბელგია	ბრუსელი	80
	ლიეჟი	50
	ანტვერპენი	23
გერმანია	ბერლინი	18,5 (შემოგარენით - 90)
	ბრემენი	13,9
	დუსელდორფი	11,6
	ფრანკფურტი	13,9
	ჰანოვერი	11,4
	მიუნხენი	10,3
	შტუტგარტი	7,0

	იენა	23,2
	ვოლფსბურგი	41,4
უნგრეთი	ბუდაპეშტი	14,4
	სოლნოკი	118
	პეჩი	78
	ზალაეგერსეგი	73
	დიორი	63
	ეგერი	35
	სეგედი	25
	დებრეცენი	18
საბერძნეთი	ათენი	2-2,5
	სალონიკი	2,5-3
	სხვა ძირითადი ქალაქები	4-5
ავსტრია	ვენა (შემოგარენით)	111
სლოვაკეთი	ბრატისლავა	10,72
	ბანსკა-ბისტრიცა	26
	პოვაზსკა-ბისტრიცა	16
	ლუჩენესი	22,8
	ტრნავა	21
	ტრენჩინი	19
	პრესოვი	26
	ზილინა	20
პორტუგალია	ლისაბონი	10
	ბეჟა	24,5
	ბრაგანსა	15
	ფარუ	14
	გაია	7
	მაია	12,5
	პორტო	7
	ტავირა	5
	ვილა-რეალი	22,4
რუმინეთი	ბუხარესტი	9,67
	იასი	20,6
	სუჩავა	20,31
	პიტეშტი	22,81
	ორადეა	24,3
	სიბიუ	24,8
საფრანგეთი	პარიზი	5,8 (14,2 ბულონისა და ვინსენის ტყეების ჩათვლით)
	ბორდო	15,2
	ტულუზი	20,0
შვედეთი (ითვლება მისი შემოგარენის	სტოკჰოლმი	230
	გეტებორგი	280

ჩათვლით)	მალმე	154
	უფსალა	253
	ვესტეროსი	356

მასალა მოამზადა ნატო ნიაურმა

28.01.2014

გამოყენებული წყაროები:

**დიდი ბრიტანეთი**

*Town and Country Planning Act*

<http://www.legislation.gov.uk/ukpga/1990/8/contents>

Open Space Strategy

[http://www.edinburgh.gov.uk/downloads/file/2016/open\\_space\\_strategy](http://www.edinburgh.gov.uk/downloads/file/2016/open_space_strategy)

The Mayor's State of Environment Report for London

[http://legacy.london.gov.uk/gla/publications/environment/soereport/soe\\_summary.pdf](http://legacy.london.gov.uk/gla/publications/environment/soereport/soe_summary.pdf)

**ლიტვა**

ვილნიუსი

[http://www.vilnius.lt/vmsp/en/tendencijos\\_32.html](http://www.vilnius.lt/vmsp/en/tendencijos_32.html)

კაუნასი

[http://aplinka.kaunas.lt/?lang=2&menu\\_id=&pg=59](http://aplinka.kaunas.lt/?lang=2&menu_id=&pg=59)

კლაიპედა

<http://www.krastotvarka.vhost.lt/documents/2011-20.pdf>

**ბულგარეთი**

Spatial Development Act

<http://www.cadastre.bg/node/5380>

Regulation № 7 of 22 December 2003 on the rules and regulations for the structure of individual territory types and structural areas

**თურქეთი**

Planning, Legislation and Implementation Problems of Green Spaces in Turkey

<http://aesop2005.scix.net/data/papers/att/211.fullTextPrint.pdf>

**ლუქსემბურგი**

PROTECTION DE LA NATURE ET DES RESSOURCES NATURELLES

<http://www.legilux.public.lu/leg/a/archives/2004/0010/a010.pdf>

**ავსტრია**

<http://www.wien.gv.at/english/environment-leisure/>

**ბელგია**


[http://www.belgium.be/fr/environnement/biodiversite\\_et\\_nature/conservation\\_de\\_la\\_nature/espace\\_vert/](http://www.belgium.be/fr/environnement/biodiversite_et_nature/conservation_de_la_nature/espace_vert/)

**პორტუგალია**

[http://www.ine.pt/xportal/xmain?xpid=INE&xpgid=ine\\_princindic&contexto=pi&selTab=tab0](http://www.ine.pt/xportal/xmain?xpid=INE&xpgid=ine_princindic&contexto=pi&selTab=tab0)

**რუმინეთი**

<http://www.revistacalitateavietii.ro/2009/CV-3-4-2009/03.pdf>



### **ჩეხეთი**

[http://www.mzp.cz/ris/vis-legcz-en.nsf/0/363C50D843387F0BC125746B0035E3A0/\\$file/19920114Sb.pdf](http://www.mzp.cz/ris/vis-legcz-en.nsf/0/363C50D843387F0BC125746B0035E3A0/$file/19920114Sb.pdf)

### **ესტონეთი**

[www.legaltext.ee/text/en/X90008K1.htm](http://www.legaltext.ee/text/en/X90008K1.htm)

### **გერმანია**

<http://bremen.beck.de/default.aspx?vpath=bibdata%5cges%5cBrNatG%5ccont%5cBrNatG.inh.htm&mode=all>

### **ფინეთი**

<http://www.finlex.fi/fi/laki/kaannokset/1999/en19990132.pdf>

### **იტალია**

<http://www.comune.torino.it/regolamenti/317/317.htm#art00>

### **ბელგია**

[http://www.belgium.be/fr/environnement/biodiversite\\_et\\_nature/conservation\\_de\\_la\\_nature/espace\\_verte/](http://www.belgium.be/fr/environnement/biodiversite_et_nature/conservation_de_la_nature/espace_verte/)

### **Urban Greening**

<http://www.ocs.polito.it/biblioteca/verde/ENV109KKeipiE.pdf>

<http://opinion.myjoyonline.com/pages/feature/201110/74980.php>